საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება N 01-10/50

ქ. ბათუმი 11 აპრილი, 2023 წ.

ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის სტაჟიორთა მისაღები კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე და 24-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2013 წლის 29 მარტის N2 გადაწყვეტილებისა და ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსის 2023 წლის 04 აპრილის N379616 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. გამოცხადდეს კონკურსი ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენში 2 (ორი) თვის ვადით სტაჟირების გავლის მიზნით კანდიდატთა (სტაჟიორთა) შესარჩევად.
2. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ბსუ-ს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მე-3 ან/და მე-4 სასწავლო წლის სტუდენტებს, ბსუ-ს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს ან ბსუ-ს კურსდამთავრებულებს.
3. კონკურსანტმა **2023 წლის 11 აპრილიდან 2023 წლის 24 აპრილის** ჩათვლით ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურის (კანცელარია) ან ბსუ-ს ელექტრონული ფოსტის (Info@bsu.edu.ge) მეშვეობით უნდა წარმოადგინოს:

   ა) წერილობითი განცხადება სტაჟირების გავლის შესახებ (სტაჟირების გავლის წესით გათვალისწინებული ფორმის შესაბამისად შევსებული);
   ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
   გ) CV;
   დ) ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ (აქტიური სტუდენტის სტატუსის შემთხვევაში) და სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემიდან სასწავლო ბარათი, ხოლო კურსდამთავრებულმა - დიპლომისა და სტანდარტული დანართის ასლი;
   ე) ერთი ფოტოსურათი (3X4);
   ვ) სამოტივაციო წერილი.
4. სტაჟიორთა შერჩევისას გაითვალისწინება: ინგლისური ენის ცოდნა; საოფისე კომპიუტერული პროგრამების ცოდნა; სტუდენტის/კურსდამთავრებულის აკადემიური მოსწრება და მოტივაცია; თანაბარ პირობებში უპირატესობა მიენიჭება კონკურსანტს სოციალური დახმარების მიმღები ოჯახიდან.
5. კონკურსის წესით შეირჩეს 4 სტაჟიორი, შერჩეულმა კანდიდატებმა ორი თვის განმავლობაში გაიარონ ანაზღაურების გარეშე სტაჟირება ბსუ-ს სტუდენტთა

კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენში შემდეგი განრიგით:

ა) ორმა სტაჟიორმა პირველ ცვლაში: ორშაბათი-პარასკევი 9^{00}-13^{00} სთ;

ბ) ორმა სტაჟიორმა მეორე ცვლაში: ორშაბათი-პარასკევი 14^{00}-18^{00} სთ;

6. შერჩეულმა სტაჟიორებმა სტაჟირების პერიოდში უნდა შეასრულონ ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის დებულებითა და პერსონალის სამუშაო აღწერილობით გათვალისწინებული ფუნქცია-მოვალეობები, ასევე უნდა ჩაერთოთ დეპარტამენტის მიერ დაგეგმილ, სტუდენტთა მხარდამჭერ პროექტების განხორციელებასა და ახალი აქტივობების დაგეგმვაში.
7. სტაჟიორთა ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე განისაზღვროს ერთი წარმატებული სტაჟიორი, რომელიც შესაძლებელია დასაქმდეს არაუმეტეს 6 თვის ვადით (ანაზღაურებადი სტაჟირება) და მასზე გაიცეს სერტიფიკატი.
8. წარმატებული სტაჟიორის კონტრაქტით დასაქმების შემთხვევაში, ყოველთვიური ანაზღაურება განისაზღვროს შესაბამის სამუშაო ცვლებში სამუშაო დატვირთვის გათვალისწინებით, **არაუმეტეს 500 ლარის ოდენობით.**
9. სტაჟირების კონკურსის ჩატარების მიზნით შეიქმნას სტაჟიორთა საკონკურსო კომისია, რომელმაც განსაზღვროს კონკურსის ჩატარების ვადები და ინფორმაცია განათავსოს ბსუ-ს ვებგვერდზე (კონკურსების ველში).
10. განცხადება სტაჟიორთა კონკურსის გამოცხადების შესახებ გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
11. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საქმისწარმოების სამსახურს, ფაკულტეტებს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტსა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
12. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
13. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30) მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი მ. დიასამიძე